წინასაარჩევნო ამნისტია, როგორც პოლიტიკური მანიპულაციის ინსტრუმენტი

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

წინასაარჩევნო ამნისტია, როგორც პოლიტიკური მანიპულაციის ინსტრუმენტი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2024

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების *წესი:* *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „წინასაარჩევნო ამნისტია, როგორც პოლიტიკური მანიპულაციის ინსტრუმენტი“, 2024*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სოციალური სამართლიანობის ცენტრი ეხმაურება საქართველოს პარლამენტში „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტის ინიცირებას და მიიჩნევს, რომ ამ ნაბიჯით მმართველი პოლიტიკური გუნდი ცდილობს, ერთჯერადი ღონისძიებით შეარბილოს მოქმედი მკაცრი, დაუბალანსებელი სისხლის სამართლის პოლიტიკა. ამავდროულად, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ფართო ამნისტიის აქტის გამოცემა პოლიტიკური მანიპულაციის ნიშნებს აჩენს და არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.

10 ივლისს ქართულმა ოცნებამ დააინიცირა ამნისტიის პროექტი, რომელიც 2024 წლის პირველ ივლისამდე ჩადენილ სისხლის სამართლის კოდექსის 300-მდე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებს შეეხება. 19 ივლისს იურიდიულმა კომიტეტმა ამნისტიის პროექტს პირველი მოსმენით დაუჭირა მხარი. როგორც საკომიტეტო განხილვისას პროექტის ინიციატორებმა აღნიშნეს, კანონის მიღება სექტემბერში იგეგმება.

კანონპროექტით ამნისტიის რამდენიმე ფორმაა გათვალისწინებული:

- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება დაზარალებულის თანხმობით;
- დანიშნული სასჯელის განახევრება;
- დანიშნული სასჯელის განახევრება დაზარალებულის თანხმობით;
- დანიშნული სასჯელის განახევრება დაზარალებულის თანხმობითა და შესაბამისი რისკის დამზღვევი მექანიზმის (დამცავი ორდერის) გამოყენებით;
- დანიშნული სასჯელის შემცირება ერთი მეოთხედით;
- დანიშნული სასჯელის შემცირება ერთი მეოთხედით, დაზარალებულის თანხმობით;
- დანიშნული სასჯელის 1/6-თ შემცირება;
- პირობითი მსჯავრისა და გამოსაცდელი ვადის შემცირება 1 წლით;
- სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, პირობითი მსჯავრისგან, სასჯელისგან, მათ შორის, აღუსრულებელი ჯარიმისგან გათავისუფლება.

ზოგადად, ამნისტია სისხლის სამართლის პოლიტიკაში ჰუმანიზმის პრინციპის გამოვლინებაა და ბრალდებული/მსჯავრდებული პირების ინტერესებს ემსახურება. დაინიცირებული კანონპროექტი, მეტწილად, აბალანსებს საჯარო და კერძო ინტერესებს და განსაკუთრებულად მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველ დანაშაულებზე (განზრახ მკვლელობა, სქესობრივი, სამოხელეო დანაშაულები, „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული დანაშაულები და სხვ.) არ ავრცელებს საშეღავათო პირობებს. დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში გათვალისწინებულია დაზარალებულის თანხმობის კომპონენტი, თუმცა განსაკუთრებული სიფრთხილე არის გამოსაჩენი ოჯახური დანაშაულების კონტექსტში მსხვერპლის თანხმობის კომპონენტზე. სახალხო დამცველი პარლამენტისთვის წარდგენილ რეკომენდაციებში მიუთითებს, რომ თანხმობის მოპოვების

პროცესში აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს მსხვერპლის უსაფრთხოება და თავისუფალი ნების გამოვლენა.[1]

ჩამოთვლილი დადებითი ფაქტორების მიუხედავად, ამნისტიის კანონპროექტი პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო:

1. წინასაარჩევნო კონტექსტი და პოლიტიკური სარჩული

ქართული ოცნების ერთ-ერთი დეპუტატის განცხადებით, ამნისტიის კანონპროექტი არ უკავშირდება წინასაარჩევნო პერიოდს, რადგან საპატიმრო დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ ვერავის დაავალდებულებენ, რომ ხმა მმართველ გუნდს მისცენ.[2] თუმცა, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მასშტაბური ამნისტიის დაანონსება ნამდვილად ქმნის ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობის საფუძვლიან ეჭვს.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათი არ ასახელებს სტატისტიკას ან კვლევას, რომლის საფუძველზეც შეირჩა ამნისტიის ფორმები ცალკეული კატეგორიის დანაშაულებისთვის. ერთჯერადი ღონისძიების გამოყენება ორი არგუმენტით არის დასაბუთებული:

1. ევროპის საბჭოს 2024 წლის 6 ივნისს გამოქვეყნებულ პენიტენციური სტატისტიკის ყოველწლიურ ანგარიშში ასახული მონაცემები, რომლებიც ადასტურებს, რომ საქართველო მოწინავეა 100 000 მოსახლეზე პატიმრების რაოდენობით.[3]
2. სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაცია ციხის გადატვირთულობისა და პატიმრების რაოდენობის შემცირების შესახებ. [4]

ევროპის საბჭოს მიერ 2024 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშს არ გამოუაშკარავებია ახალი გამოწვევა, რადგან წინა წლების ანგარიშებიც ცალსახად მიუთითებდა საქართველოში პატიმრების დიდ რაოდენობაზე. მაგალითად, 2021 წლის მონაცემებით, საქართველო ერთ სულ მოსახლეზე პატიმრების რაოდენობის მხრივ, ევროპის ქვეყნებს შორის მესამე ადგილზე იყო რუსეთისა და თურქეთის შემდეგ.[5] შესაბამისად, არალოგიკურია მმართველი გუნდის მიერ ამნისტიის დაკავშირება ევროპის საბჭოს განახლებულ მონაცემებთან.

გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლებში მმართველ გუნდს არ გამოუხატავს ფართო ამნისტიის განხორციელების ინტერესი. ამნისტიის აქტები ლოკალურ ხასიათს ატარებდა,

---

[1]IPN- "სახალხო დამცველი ამნისტიის კანონპროექტთან დაკავშირებით პარლამენტს რეკომენდაციებს სთავაზობს". ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1ejGEtIH

[2]IPN-გია ვოლსკი: ამნისტიის ინიციატივაზე დიდი ხანია მიდის გუნდში მუშაობა - ნუ დავუკავშირებთ წინასაარჩევნო პერიოდს. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/rejfudF4

[3]ევროპის საბჭოს 2024 წლის 6 ივნისს გამოქვეყნებული პენიტენციური სტატისტიკის ყოველწლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/QejHuHls

[4]სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/fejHi2rc

[5]სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პატიმრების რაოდენობა საქართველოში მაღალია. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/2ejfi0GU

რამდენიმე მუხლს ეხებოდა, ან შემოიფარგლებოდა მხოლოდ ხანდაზმული მსჯავრდებულებისთვის სასჯელის შემცირებით. ბოლო მასშტაბური ამნისტიის აქტი მმართველმა გუნდმა 2020 წელს, არჩევნების შემდეგ მიიღო.[6]

2. მკაცრი სასჯელების ამნისტიით დაბალანსების პოლიტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტის ინიციატორები ცდილობენ ამნისტია ევროპის საბჭოს ანგარიშის შედეგებს დაუკავშირონ. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად,[7] ამნისტიის სახით ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების გამოყენება განპირობებულია საშუალო ევროპულ მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში პატიმართა დიდი რაოდენობით. გარდა იმისა, რომ ეს თანაფარდობა არ არის ახალი ტენდენცია, პრობლემურია ისიც, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკაში არსებულ გამოწვევებს მმართველი გუნდი არა სისტემური რეფორმით, არამედ ერთჯერადი ამნისტიის აქტით ებრძვის.

ევროპის საბჭოს ანგარიშში, გარდა პატიმრების რაოდენობისა, განხილულია სასჯელების სიმკაცრის საკითხიც. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის მაჩვენებლით საქართველო ძალიან მაღალ კატეგორიაში ექცევა პორტუგალიასთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან, მოლდოვასა და სხვა ქვეყნებთან ერთად. თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის მიხედვით, საქართველოში ყველაზე გავრცელებულია 5-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, მაშინ როდესაც ევროპის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 12 თვეს შეადგენს.[8] მმართველი გუნდის რეალური მიზანი რომ ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება იყოს, ის სასჯელის პოლიტიკის კომპლექსურ რეფორმაზე დაიწყებდა მუშაობას, არჩევნების წინ ერთჯერადი საშეღავათო მექანიზმის გამოყენების ნაცვლად. არსებული პოლიტიკის და ხანგრძლივი სასჯელების შენარჩუნების შემთხვევაში კი, მოკლე დროში, მსჯავრდებულთა რაოდენობა კვლავ შეიძლება გაიზარდოს და საქართველომ ისევ შეინარჩუნოს ევროპის საბჭოს წლიურ ანგარიშში მოწინავე პოზიციები პატიმრების რაოდენობის მიხედვით.

საკომიტეტო განხილვისას ქართული ოცნების წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ ამნისტიის აქტი პრობლემასთან ბრძოლის ერთადერთი ინსტრუმენტი არ არის და ისინი პარალელურად მუშაობენ არასაპატიმრო სასჯელების გაფართოებაზე, თუმცა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები ჯერ არ გადაუდგამთ. ბოლო წლების განმავლობაში

---

[6] საქართველოს კანონი "ამნისტიის შესახებ", (16.12.2020). ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/hejGlm1R

[7] „ამნისტიის შესახებ" კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, 10.07.2024. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Zejfay1O

[8] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საქართველოში კრიტიკულად მაღალია პატიმართა რაოდენობა, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა და პერსონალის დატვირთულობა", (11.06.2024). ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/OejfdpFt

მმართველი გუნდი დაპირებების დონეზეც კი არ საუბრობს სისხლის სამართლის პოლიტიკის სისტემურ რეფორმასა და სასჯელების გადახედვაზე. უფრო მეტიც, ბოლო პერიოდში რამდენიმე დანაშაულზე სასჯელი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამკაცრდა.

3. საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების ამნისტიის აქტიდან გამორიცხვა

ამნისტიის კანონპროექტის მე-7 მუხლში ჩამოთვლილია სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებზეც არანაირი ფორმით არ ვრცელდება ამნისტია. ამ კატეგორიაში ძირითადად ექცევა მაღალი საშიშროების მქონე, ძალადობრივი დანაშაულები, როგორიცაა: განზრახ მკვლელობა, თვითმკვლელობამდე მიყვანა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ყაჩაღობა და სხვ. ამავე კატეგორიაში მოხვდა ჩამოთვლილ დანაშაულებთან შედარებით ნაკლები საშიშრების შემცველი დანაშაულები, რომლებიც არ ხელყოფს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. დამთხვევა არ უნდა იყოს, რომ ეს მუხლები ხშირად გამოიყენება შეკრება-მანიფესტაციების მონაწილეების მიმართ და შესაძლოა, სწორედ ამიტომაც დარჩა ამნისტიის აქტის მოქმედების მიღმა.

მაგალითად, ამნისტიის აქტი არ ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 222, 225 და 226-ე მუხლებზე. საგულისხმოა, რომ სამივე მუხლით მიმდინარეობს გამოძიება 2024 წლის აპრილი-მაისის საპროტესტო აქციების ფარგლებში. სსკ-ის 222-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდების ან ბლოკირებისთვის, თუმცა კანონმდებლობა არ განსაზღვრავს სტრატეგიული ობიექტების ჩამონათვალს. შესაბამისად, ეს მუხლი შეზღუდვის გარეშე გამოიყენება პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ. რაც შეეხება 225-ე და 226-ე მუხლებს, ეს დანაშაულები ჯგუფური ძალადობის ორგანიზებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან არის დაკავშირებული და 222-ე მუხლის მსგავსად, ხშირად გამოიყენება საპროტესტო აქციის მონაწილეების მიმართ. სსკ-ის 222-ე და 226-ე მუხლები ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებია. ამ კატეგორიის დანაშაულებზე მსჯავრდებული პირები ამნისტიის აქტით საერთოდ თავისუფლდებიან სასჯელისგან, თუმცა 222-ე და 226-ე მუხლებს ამნისტია 1/6-თაც კი არ შეხებია. იგივე მიდგომა აქვს კანონპროექტის ინიციატორებს სსკ-ის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით, რომელიც ნივთის განზრახ დაზიანებას/განადგურებას შეეხება. ამნისტიის აქტში ეს არალოგიკური თანაფარდობა საპროტესტო აქციების მონაწილეების, ესე იგი, მმართველი გუნდისთვის პოლიტიკურად მიუღებელი მოქალაქეების სამაგალითო დასჯის ასოციაციას იწვევს. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს ამნისტიის პოლიტიკური ამოცანებით გამოყენებას.

4. ნარკოტიკულ დანაშაულებზე გავრცელების მასშტაბი

კანონპროექტი სხვადასხვა მოცულობით ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ჩაიდინა სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული - ნარკოტიკული

საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა (კანონის მოქმედება არ ვრცელდება სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ, მხოლოდ ერთ ქმედებაზე - ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის წარმოებაზე).

მისასალმებელია, რომ პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებიან 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ბრალდებული ან მსჯავრდებული პირები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის ავტორების დასაბუთება 260-ე მუხლის პირველ ნაწილზე ამნისტიის სრულად გავრცელების შესახებ, ეწინააღმდეგება თავად მმართველი გუნდის მიერ გატარებულ პოლიტიკას და შექმნილ ნარატივს, ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვასთან დაკავშირებით. კერძოდ, მმართველი გუნდის წარმომადგენლები მტრულად აცხადებენ იმ ჯგუფებს, რომლებიც ნარკოპოლიტიკის სამართლიან რეგულირებას და არსებული სასჯელების შემსუბუქებას ითხოვენ.[9]

ამნისტიის კანონპროექტის პრეამბულის მიხედვით, პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლების პროცესში, გათვალისწინებულ იქნა დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი. გამომდინარე იქედან, რომ 260-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე პატიმრობაში მყოფი პირები დაუყოვნებლივ დატოვებენ ციხეს, გამოდის, რომ ამნისტიის კანონი ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას, ყველაზე დაბალი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მქონე დანაშაულის კატეგორიას მიაკუთვნებს. თუმცა, მმართველი გუნდი, უკვე წლებია, რაც 260-ე მუხლისთვის გათვალისწინებულ სასჯელს არ ამცირებს, რიტორიკას ამკაცრებს და ნარკოტიკულ დანაშაულებზე პოპულისტურ სისხლის სამართლის პოლიტიკას აწარმოებს.

260-ე მუხლის პირველი ნაწილის მსგავსად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან სრულად თავისუფლდებიან სისხლის სამართლის კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილით (ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნა - გარდა უკანონო წარმოებისა), 265-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება) 273-ე (ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება) და 273[1] მუხლებით (კონკრეტულად კი 1-5 ნაწილები, რაც გულისხმობს მცენარე კანაფის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვას ან გადაგზავნას) გათვალისწინებულ დანაშაულებში ბრალდებული ან მსჯავრდებული პირები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იქმნება განცდა, რომ ამნისტიის კანონპროექტის ინიციატორები, მთელ რიგ ნარკოტიკულ დანაშაულებს, დაბალი საზოგადოებრივი საფრთხის შემცველად მიიჩნევენ და მზად არიან ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სასჯელისგან სრული გათავისუფლებისთვის. ამნისტიას დაქვემდებარებული ნარკოტიკული

[9]რადიო თავისუფლება - ირაკლი ღარიბაშვილი: "მიმდინარე ნარკოპოლიტიკა არის აბსოლუტურად მავნებლური", ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1ekuK3kA

დანაშაულების ფართო დიაპაზონიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გაუგებარია, თუ რატომ არ ახორციელებს მმართველი გუნდი კანონმდებელი ნარკოპოლიტიკის რეფორმას და სასჯელთა სისტემურ დონეზე გადახედვას.

გარდა პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან სრულად გათავისუფლებისა, ამნისტიის კანონპროექტი შედარებით მძიმე ნარკოტიკულ დანაშაულებზე (მაგ. დიდი ოდენობა, ჯგუფური დანაშაული), სასჯელის განახევრებას, ან ერთი მეოთხედით/ერთი მეექვსედით შემცირებას ითვალისწინებს. ამასთან, ამნისტიის კანონპროექტი ითვალისწინებს „ნარკოტიკული დანაშაულის წინაღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის“ საფუძველზე ჩამორთმეული უფლებების დროზე ადრე აღდგენის შესაძლებლობას. აღნიშნული, სასჯელის შემცირებასთან ერთად, ნამდვილად აუმჯობესებს ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას.

მიუხედავად ამისა, ამნისტიის კანონპროექტი სისტემურად ვერ შეძლებს ნარკოტიკულ დანაშაულებზე არსებული მაღალი სასჯელების დაბალანსებას და ვერ ჩაითვლება საკითხის მოგვარების გონივრულ და მდგრად გზად. ნარკოტიკულ დანაშაულებზე დაწესებული სასჯელები ერთ-ერთი უმძიმესია როგორც რეგიონში, ისე მის მიღმა, თუმცა, ამას ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელ პირთა შემცირება არ გამოუწვევია. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ნარკოპოლიტიკის ძირეულ რეფორმას და სასჯელების სისტემურ გადახედვას შეუძლია, შეცვალოს ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარება და გამოასწოროს ნარკოტიკულ დანაშაულებზე ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

შეჯამება

ამნისტია, თუნდაც არსებული პოლიტიკური კონტექსტის ფონზე, ჰუმანური მოქმედებაა და დადებითად აისახება ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების უფლებრივ მდგომარეობაზე. მმართველი გუნდის მიერ ინიცირებული ამნისტიის პროექტი, მეტწილად, ლოგიკური და თანმიმდევრულია, თუმცა მისი ინიცირება წინასაარჩევნო კონტექსტში მიანიშნებს საკითხის პოლიტიზირების მცდელობებს. ამავდროულად, კანონპროექტი განსხვავებულ, მკაცრ რეგულაციებს შეიცავს საპროტესტო აქციებზე ხშირად გამოყენებად მუხლებთან მიმართებით.

დღეს არსებული მკაცრი კანონმდებლობისა და უსამართლო სასასჯელო პოლიტიკის პირობებში, მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ სწორად გაიაზროს ამნისტიის ინსტრუმენტის ბუნება და დანიშნულება. ცალკეული კატეგორიის დანაშაულებზე არაპროპორციულად მკაცრი სასჯელების პრობლემა არა ერთჯერადი ღონისძიებით, არამედ სისხლის სამართლის პოლიტიკის გადახედვისა და სისტემური რეფორმის განხორციელებით უნდა გადაიჭრას.

საკომიტეტო განხილვისას ამნისტიის პროექტის ინიციატორებმა გამოთქვეს მზადყოფნა პროექტში ცვლილებების შეტანაზე. სწორედ ამიტომ, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს:

- ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ამნისტიის მიღმა, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები სისხლის სამართლის პოლიტიკის სისტემური რეფორმისა და სასჯელების შემსუბუქების მიმართულებით;
- გაატაროს ნარკოპოლიტიკის სისტემური, ადამიანის უფლებებსა და მტკიცებულებებზე-დაფუძნებული რეფორმა;
- ამნისტიის აქტის მოქმედება გავრცელდეს სსკ-ის 222-ე, 225-ე, 226-ე მუხლებზე და 187-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.
- ოჯახურ დანაშაულებზე ამნისტიის გავრცელებისთვის მსხვერპლის თანხმობის მოპოვების პროცესში, უზრუნველყოფილი იყოს დაზარალებულის უსაფრთხოება და თავისუფალი ნების გამოვლენა.